

# “საარსებო მინიმუმის კალათა ხელისუფლებამ ხელოვნურად გააიაფა”

„მთავრობა და პრემიერ-მინისტრი ხშირად გზუქნიან ამგვარ  
„მარგალიტებს“

გაზეთი “ყველა სიახლე” – 27 ივნისი – 3 ივლისი, № 26, 2012

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი შესამჩნევად გაიზარდა, გაიზარდა მისი საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილიც, ალბათ ამიტომ, საქართველოს მოქალაქეებს კარგა ხანია აღარ სმენიათ მაგიური სიტყვა „სეკვესტრი“, რომელიც ათიოდე წლის წინ ყველას თავზარს გვცემდა. 2012 წლის ბიუჯეტის საერთო მოცულობა 7 მილიარდ 940,4 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც წინა წელთან შედარებით 370 მილიონით მეტია. რა გზით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი და როგორ ნაწილდება ის? – ამ და სხვა საკითხებზე კომენტარი ვთხოვეთ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ **ლადო კაპაგას:**

– ბატონო ლადო, ამჟამად ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილი 6-7-ჯერ მეტია 2003-2004 წლების მაჩვენებლებთან შედარებით. იმეკმედა თუ არა ბიუჯეტის ზრდამ ჩვენი ხალხის ცხოვრებაზე?

– ის, რომ ბიუჯეტი გაიზარდა, ძალიან დიდი წარმატებაა. მე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ ხალხის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა, თუმცა ვითარება გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თანხები არამიზნობრივად რომ არ იხარჯებოდეს, არ იქმნებოდეს უაზრო პროექტები და ბოლოს, ერთსა და იმავე საქმეს რამდენჯერმე არ აკეთებდნენ. ორიოდე მაგალითს შეგახსენებთ: ვინ იცის რამდენჯერ დააგეს ქვაფენილი პეროვსკაის ქუჩაზე და რამდენჯერ აყარეს, მაგრამ ამ პროექტის განმახორცილებელმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა საკმაოდ საინტერესო კარიერა გაიკეთა. იგივე მოხდა გორის მისასვლელთან, სადაც საკმაოდ გრძელი მონაკვეთი აიყარა და ავტომაგისტრალი მეორედ დაიგო. ჩვენ ვიცით, რამხელა ფული გადაიყარა ანაკლიაში ხიდის მშენებლობაზე, რომელიც ენგურმა წაიღო, ან

რა რაოდენობის ფული ჩაიყარა გომბორის გზაზე და ეს გზაც ხელახლა გაუხდათ დასაგები. ჩემი, როგორც ეკონომისტის შეფასებით, საკმაოდ სერიოზული თანხა გაიფლანგა თავდაცვის სამინისტროშიც, რაც კარგად აჩვენა 2008 წლის ომმა. აჩვენა, რომ უაზროდ იყო აშენებული სამხედრო ქალაქი გორთან, რომელიც ადვილად დაიბომბა. დმოჩნდა, რომ ჩვენ არაადეკვატური შეიარაღება გვქონია, რომ საჰაერო თავდაცვა ქვეყანას საერთოდ არ გააჩნდა და ეს მაშინ, როდესაც თავდაცვის ბიუჯეტი იზრდებოდა. ასე რომ, მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად სახეზე გვაქვს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი გამოყენება.

სამწუხაროა, მაგრამ დღეს პრაქტიკულად მკვდარია კონტროლის პალატა, ვინც ამ საკითხს უნდა მიხედოს. 2007 წელს, როდესაც ჯერ კიდევ პარლამენტის წევრი ვიყავი, კონტროლის პალატამ დადო ორი სერიოზული კვლევა: ეს იყო გაფლანგვა ქალაქის მერიაში, კერძოდ კი – კეთილმოწყობის სამსახურში – 200 მილიონი ლარის ოდენობით, რომელიც დაკავშირებული იყო თბილისის მერისა და კეთილმოწყობის სამსახურის მაშინდელი უფროსის, კობა სუბელიანის სახელებთან. ყველაფრის მიუხედავად სუბელიანი მინისტრი გახდა. მეორე, 40 მილიონიანი გაფლანგვა კი დაკავშირებული იყო განათლების სამინისტროსთან, რომლის მინისტრიც მაშინ კახა ლომია იყო. არც ერთი ეს თემა პარლამენტში სერიოზულად არ განხილულა და არავინ დასჯილა მაშინ, როდესაც ოქრუაშვილის ოპოზიციაში გადასვლისთანავე გახმაურდა, რომ მას თურმე 140 მილიონი გაუფლანგავს. თუ სუბელიანს, უგულავას, ან ლომიას მომავალში რაიმე „შეეშლება“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კურსს გადაუხვევენ, მათ გაფლანგვებსაც ალბათ მაშინვე გამოამზეურებენ.

– რა შეიძლება ითქვას ე.წ. სხვა ხარჯებზე?

– დიას, ჩვენს ბიუჯეტში არის სერიოზული პრობლემა „სხვა ხარჯების“ სახით. საერთოდ, ამგვარი ხარჯები ბიუჯეტის ხარჯების 5 პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს. ჩვენ კი რას ვხედავთ? – 50 პროცენტზე მეტია „სხვა ხარჯები“ თბილისის ბიუჯეტში და 15 პროცენტზე მეტი – ქვეყნის ბიუჯეტში. ეს არის პრაქტიკულად გაუშიფრავი ხარჯები, რომლებიც არ არის კონტროლირებადი, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ ეს არის კორუფციის წყარო. ასე რომ, ქვეყანა და ხალხი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა, საბიუჯეტო სახსრები მიზნობრივად და ეფექტიანად რომ გამოეყენებინათ. არამიზნობრივი ხარჯვის კლასიკური ნიმუშია ქუთაისში პარლამენტის შენობის აგება, თითქოს ჩვენს პარლამენტს მანამდე შენობა არ ჰქონდა. პარლამენტის შენობის მშენებლობაზე

ოფიციალურად დღემდე 133 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა და ეს არის წყალში გადაყრილი ფული. მომავალში ჩვენ გველის კიდევ ერთი გრანდიოზული პროექტი, რომელიც მე დიდ ბლუვად მიმაჩნია – “ლაზიკა” (ნეტა ლიზიკო იყოს...). როგორც ჩანს, ჭაობი ძალიან კარგი ფულის სარეცხი მანქანაა, ამიტომ იქ რა დაიხარჯება, როგორ, ან რა ფული შეიჭმება, კაციშვილი ვერ დათვლის. აქედან გამომდინარე, ლაზიკა შეიძლება ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდეს.

– ბატონო ლადო, რამ გამოიწვია ბიუჯეტის ასეთი ზრდა ბოლო წლების განმავლობაში?

– ბიუჯეტის ზრდა, უწინარეს ყოვლისა, გამოიწვია იმან, რომ „ვარდების რევოლუციით“ მოსულ მთავრობას აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება, რომ წესრიგი დაემყარებინა საბიუჯეტო სექტორში: დამყარდა წესრიგი ქვეყნის საზღვრებზე და მის შიგნით, მეწარმისათვის გადასახადის გადახდა ჩვეულებრივი ამბავი გახდა და ეს თავისთავად აისახა ბიუჯეტზეც, თუმცა ნაკლებად აისახა პენსიებზე. პენსიების მომატება უშუალოდ არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და იმაზე, თუ როგორ ნაწილდება საბიუჯეტო შემოსავლები. „ვარდების რევოლუციამდე“ ზურაბ ჟვანიას ჰქონდა ინიციატივა, რომ პენსია და მინიმალური ხელფასი არ უნდა ყოფილიყო საარსებო მინიმუმზე ნაკლები, მაგრამ როგორც კი პრემიერ-მინისტრი გახდა, ეს ყველაფერი დაივიწყა. ამგვარი მიდგომის წყალობით მინიმალური ხელფასის ცნება დღეს ჩვენში საერთოდ აღარ არსებობს, ხოლო პენსია აშკარად ნაკლებია, ვიდრე ოფიციალურად გაცხადებული საარსებო მინიმუმია.

– ბატონო ლადო, რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საარსებო მინიმუმი სულ უფრო მცირდება? მაგალითად, შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2011 წლის აპრილში იყო 163,2 ლარი, 2012 წლის მაისის მონაცემებით კი – 154,1 ლარია

– ამას პირობითად შეიძლება ეწოდოს კურიოზი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში საერთოდ შეიცვალა საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგია. საარსებო მინიმუმის კალათა ხელისუფლებამ ხელოვნურად გააიიფა იმით, რომ კალორიულობა შეამცირა. ასეთი ხრიკებით ცდილობენ უცხოელები დაარწმუნონ, რომ ჩვენთან ცხოვრება საამურია, მაგრამ მთელ მსოფლიოში იზრდება ფასები სურსათზე, იზრდება საქართველოშიც და როგორ შეიძლება საარსებო მინიმუმი მცირდებოდეს? იმის დასტურად, რომ საარსებო მინიმუმი ხელოვნურად არის შემცირებული, ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან: რატომღაც, საქართველოს საარსებო მინიმუმის კალათაში მამაკაცისათვის სამჯერ

ნაკლები ხორცია გათვალისწინებული, ვიდრე სომხეთში მცხოვრები მამაკაცთათვის. როდესაც ირაკლი ალასანიამ თქვა, რომ დღეს საქართველოში საარსებო მინიმუმი არის 220 ლარი და არა 154, მან საკმაოდ რეალურად შეაფასა სიტუაცია, თუმცა შესაძლოა ეს მაჩვენებელი 220 ლარზე მეტიც იყოს. ამიტომ, დაპირება, რომელსაც იძლევა ირაკლი ალასანია და „ქართული ოცნება“, ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, პენსიების ნაჩქარევად გაზრდამ შეიძლება ინფლაციის ტემპის ზრდას შეუწყოს ხელი.

არ ვიცი რა პროგრამას დადებს „ქართული ოცნება“, მაგრამ საარსებო მინიმუმადე პენსია შეიძლება გაიზარდოს მაქსიმუმ, 2-3 წელიწადში. ეს სავსებით რეალური გზაა, თუმცა შესაბამისი ტაქტიკაა მოსაფიქრებელი, რომ ქვეყანაში სერიოზული ინფლაცია არ გამოიწვიოს.

**– ჩვენი მთავრობა აცხადებს, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი იზრდება, ინფლაცია მცირდება, მაგრამ საარსებო მინიმუმს რატომღაც მაინც ამცირებს...**

– ჩვენი მთავრობა და მისი პრემიერ-მინისტრი ხშირად გვჩუქნიან ასეთ „მარგალიტებს“: როდესაც ნიკა გილაურმა შეაფასა 2012 წელს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, თქვა, რომ ქვეყანაში ადგილი აქვს პოზიტიურ ინფლაციას, ხოლო შემდეგ გაშიფრა, რომ თურმე ფასების კლებას აქვს ადგილი. ინფლაცია თავისთავად ნიშნავს ფასების მატებას, ანუ პოზიტიური ინფლაცია ნიშნავს ფასების მატებას, ხოლო ფასების კლებას ეკონომისტები ეძახიან ნეგატიურ ინფლაციას, ანუ დეფლაციას. არ ვიცი ბატონ გილაურს ეს უცოდინრობის გამო მოუვიდა თუ უნდოდა ორიგინალური ყოფილიყო, მაგრამ მას ამგვარი „მარგალიტების“ ფრქვევა ნამდვილად ახასიათებს. ჩემმა რომელიმე სტუდენტმა ფასების კლებაზე რომ მითხრას, ეს პოზიტიური ინფლაციააო, ნამდვილად ვერ დავეუწერ დადებით შეფასებას. სამწუხაროდ, ეს არის პოლიტიკური განცხადებები და მათ მხარს უჭერს ჩვენი სატატისტიკაც, რომელსაც იმხელა ზიანი მიაყენა ბენდუქიძის “ეპოქამ”, რომ მის აღდგენას ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

ასეთ პირობებში შეუძლიათ ის თქვან, რაც გაუხარდებათ, გინდ პრემიერ-მინისტრს და გინდ – ქვეყნის პრეზიდენტს.

**ხათუნა ჩიგოგიძე**